


## 16 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთას გზის კმ12-კმ32 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის სპეციალური რეჟიმი დაწესდება

საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, 16 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთას გზის კმ12-კმ32 მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობის სპეციალური რეჟიმი დაწესდება. უწყების ინფორმაციით, აღნიშნულ გზაზე სტიქიის შედეგად წარმოქმნილი მეწყრულ-ეროზიული პროცესების შემაკავებელი ღონისძიებები ტარდება.

„საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციით, შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ოზურგეთი-შემოქმედი-ბჟუჟესი-გომისმთას საავტომობილო გზის კმ12-კმ32 მონაკვეთზე, საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ სტიქიის შე-ეგად წარმოქმნილი მეწყრულ-ეროზიული პროცესების შემაკავებელი ღონისძიებები ხორციელდება, რის გამოც,



აღნიშნულ მონაკვეთზე, 2022 წლის 16 ივლისიდან 31 ოქტომბრამდე ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია ყოველი თვის შაბათს, 15:00 სთ-დან ორშაბათს, 09:00 სთ-მდე, ხოლო, დღე-ღამის დანარჩენ პერიოდში ყველა სახის ავტოტრანსპორტის გადაადგილება აკრძალულია“,-აღნიშნულია ინფორმაციაში.


# ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 20 (10432) 18 ივლისი 2022 წ. ფასი 80 თეთრი.


## ქეთი დუმბაძე: –„ჩვენი შერიგების ნოდარიზაცია გურიიდან უნდა დავიწყოთ“



ნოდარ დუმბაძის სახელობის მე-3 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დახურვის ცერემონიალზე ნოდარ დუმბაძის ქალიშვილმა, ხელოვნებათმცოდნე **ქეთი დუმბაძემ** განაცხადა:

–10 დღის განმავლობაში, ოზურგეთში, ჩემი გურიის ყველაზე დიდ სცენაზე, იყო თეატრალური ზეიმი, იყო ლიტერატურის ზეიმი, იყო უნიჭიერესი მსახიობების და რეჟისორების ზეიმი,. როცა ეს ყველაფერი უკავშირდება მამაჩემის სახელს, ამაზე დიდი ზეიმი ჩემთვის აღარ არსებობს. ამიტომ მინდა დიდი მადლობა გითხრათ თქვენ, ყველას, ფესტივალის ორგაქნიზატორებს, ჟიურის, იმ მაყურებელს, რომლებიც დღეში სამჯერ მოდიოდა თეატრში ფესტივალზე წარმოდგენილი სპექტაკლებზე დასასწრებად.

ბატონ ირაკლი კუჭავასაგან მოვისმინე ასეთი სიტყვა: – დეპოლარიზაცია უნდა დასრულდეს. ჩვენს შერიგებას ნოდარიზაცია თუ დაეხმარებაო“, ამიტომ გურიიდან უნდა დავიწოთ ეს პროცესი.

დიდი მადლობა ჩვენს კულტურის მინისტრს თეა წულუკიანს, რადგან უპრეცედნტო იყო ის თანადგომა, რაც მან გააკეთა ფესტივალისათვის და კიდევ ერთ კითხვას დავსვამ უბრალოდ: –ასეთი ლამაზი და მშვენიერია ამ თეატრის დარბაზი, ამისთვის ბიძინა ივანიშვილს არ ვუთხრათ მადლობა?

გუშინ, ჩოხატაურში, ქუჩაში ადამიანები მაჩერებდნენდა მეკითხებოდნენ: –ნოდარ დუმბაძის გოგო ხომ ხარ შენ? ასეთი სიყვარული იციან აქ, გურიაში – თქვა ქეთი დუმბაძემ.

## შეიცავს თუ არა რაიმე სახის გარემოსდაცვით საფრთხეს ლიხაური-ზოტის ორჯაჭვა 110-კილოვოლტიანი ხაზის მშენებლობა?

ევროკავშირის მხარდაჭერით, საქართველოს ენერგეტიკული ქსელის გაუმჯობესების პროგრამაში (ENIP) შემავალი გურიის პროექტი ითვალისწინებს ორჯაჭვა 110 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობას ოზურგეთიდან ზოტის მიმართულებით, ასევე ოზურგეთიდან პალიასტომის მიმართულებით 220 კვ ელექტრო გადამცემი ხაზების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლიხაურში 110-/220 კვ ქვესადგურის მშენებლობას. პროექტი ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) დაფინანსებით და მხარდაჭერით, „გადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტის“ ფარგლებში.



გაზეთ „ალიონის“ და გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დაინტერსება ამ თემით, მას შემდეგ მოხდა, რაც მიმდინარე წლის 26 ივნისს ოზურგეთელმა გარემოსდამცველებმა გაზეთ „ალიონს“ აცნობეს, რომ კურორტ ბახმაროს მიდამოებში, ჩადრეკილი-ბაისურას ტერიტორიაზე მძიმე ტექნიკა მუშაობდა და ტყისკენ გზა გაჰყავდათ გიორგი მეხუზლამ ამის დამადასტურებელი ფოტოებიც განათავსა სოციალურ ქსელში. მისი ვარაუდით, ტყისკენ გზის გაყვანა ხეების მოსაჭრელად ხდებოდა და ეს „ბახვი 1 ჰესის“ მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოებს უკავშირდებოდა.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერმა ზედამხედველობის სამსახური გააგზავნა ბახმაროში გზის გაყვანის სამუშაოების გასაჩერებლად. (იხ. ბმული **http://alion.ge-/2022/06/ბახმაროში-სატყეო-გზის-გა/**). თუმცა, მალევე გაირკვა, რომ ჰესის მშენებელი კომპანია აქ არანაირ სამუშაოებს არ აწარმოებდა, რადგან მათ მშენებლობის ნებართვა ამ ეტაპზე არ გააჩნიათ.

ამის შემდეგ შედგა შეხვედრა გ. მეხუზლასთან, რომელსაც გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს“ დამფუძნებელი ირმა გორდელაძე, სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“სოციალური საკითხების მართვის სამსახურის უფროსი ნიკა მიქაუტაძე და ამავე სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერობის ოფიცერი სამსონ სიამაშვილი ესწრებოდნენ.

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის წარმომადგენლებმა გიორგი მეხუზლას გააცნეს პროექტის არსი და გამოთქვეს მზადყოფნა, რომ ჟურნალისტებთან ერთად ადგილზე ენახათ თუ რა ხდებოდა კურორტ ბახმაროს მიმდებარე ტერიტორიაზე.

გასულ კვირას (10 ივლისი), გაზეთი „ალიონი“ იმყოფებოდა ჩადრეკილში საქართველოს სახელმწიფო

გვ–3

# გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

**საცალო ფასი: 60 თეთრი,**
**ხელმოწერა:**
**ერთი თვით – 2,40 ლარი,**
**სამი თვით – 7,20 ლარი,**
**6 თვით –14,40 ლარი,**
**ერთი წლით – 29,60 ლარი.**

*გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.*

*ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.*

*რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.*

*რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.*

*გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.*


## სარედაქციო კოლეგია

*რედაქტორი*
**ნუგზარ ასათიანი**
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

*კომპიუტერული უზრუნველყოფა*
**გიორგი გოგოლაძე**
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77


**დაიწყეთ ყოველი რიშაბათი ალიონზე**

**«ალიონით»**

# გურიაში საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა საინფორმაციო შეხვედრა გამართეს



გურიის სამხარეო ადმინისტრაციაში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა მიწის სისტემური რეგისტრაციის საკითხზე შეხვედრა გამართეს. შეხვედრაზე მხარეებმა რეფორმის ფარგლებში მიმდინარე და დაგეგმილი აქტივობები განიხილეს. ასევე, იმსჯელეს სოფლებისა და დაბების დამისამართების პროცესზე.

შეხვედრას, სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ზაზა შოშიტაიშვილი და ქეთევან მოისწრაფეშვილი, ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ოლეგ (ბაჩო) თორთლაძე ესწრებოდნენ.

მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა მოიცავს: • 59 მუნიციპალიტეტს • ათასზე მეტ ადმინისტრაციულ ერთეულს • 4000-ზე მეტ დასახლებას მიწის რეგისტრაციის პროცესი: • სრულიად უფასოა მოქალაქეებისთვის • ხელმისაწვდომია, ემიგრანტებისთვისაც.

მიწის რეგისტრაციის შემთხვევაში, მოქალაქეებს სოციალური სტატუსი არ მოეხსნებათ.

# „ოდა ქეარი“ ლანჩხუთში ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს



„ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის“ წარმომადგენლებმა ლანჩხუთში შეხვედრა გამართეს. მათ მერის წარმომადგენლებს ორგანიზაციის შესახებ გააცნეს ინფორმაცია. ისაუბრეს ისეთ საკითხებზე, როგორიცაა შშმ პირების უფლებების დაცვის მონიტორინგი, ცობიერების ამაღლება, ტოლ-სწორთა მხარდაჭერა და ა.შ.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ არასამთავრობო ორგანიზაცია „ოდა ქეარი“ სექტემბრიდან ლანჩხუთში ახალი პროექტის განხორციელებას იწყებს, რომლის შესახებაც ორგანიზაციის ხელმძღვანელმა ვეკო წულაძემ ისაუბრა.

მისი თქმით, იწყება რეაბილიტაცია /აბილიტაციის/ პროგრამა, რომელიც ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურებების განვითარებისათვის“ ფარგლებში ტარდება.

პროექტში ჩართვა შესაძლებელი იქნება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 18 წლამდე ასაკის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირებისთვის.

პროექტი „**USAID**-ის დამოუკიდებელი ცხოვრების პროგრამა საქართველოში" დაფინანსებულია **USAID** მიერ და ხორციელდება მაკ ჯორჯიასა (**MAC Georgia**) და კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის (**CIL**) პარტნიორობით.

ორგანიზაცია „ოზურგეთის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის“ ცხელი ხაზი 032222424779

# სისხლის უანგარო დონაციის აქცია



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში სისხლის უანგარო დონაციის აქცია ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობა 30-მდე ადამიანმა მიიღო.

დონაციის აქცია სისხლის გადასხმის სამოქალაქო სადგურის ორგანიზებით განხორციელდა.

# ნოდარ დუმბაძის 94-ე წლისთავი აღინიშნა

ნოდარ დუმბაძის 94-ე წლისთავი ჩოხატაურის მუნიციპალი-ტეტში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა, რომლებსაც ესწრებოდნენ გურიის სამხარეო ადმინისტრაციის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტების თვითმმართველობების, კულტურის სფეროს წარმომადგენლები და ნოდარ დუმბაძის ოჯახის წევრები.

ყვავილებით შეამკეს ნოდარ დუმბაძის ბიუსტი;

სოფელ ხიდისთავში საფუძველი ჩაეყარა ნოდარ დუმბაძის სახელობის პირველ მუნიციპალურ საფეხბურთო ტურნირს;

ღონისძიება ჩატარდა ნოდარ დუმბაძის სახლ-მუზეუმში;

ნოდარ დუმბაძის მესამე საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის ფარგლებში ჩოხატაურის ხელოვნების სასახლეში კულტურის ცენტრთან არსებული სახალხო თეატრის სპექტაკლის პრემიერა გაიმართა.

წარმოდგენილი იყო მუსიკალური პერფორმანსი „ხაზარულა“ (რეჟისორი გოჩა ხვიჩია).



# საქსტატის წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა



გურიაში სახელმწიფო რწმუნებულმა გიორგი ურუშაძემ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრა გამართა, სადაც საქსტატის ძირითად პრიორიტეტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრეს. ასევე, განიხილეს სტატისტიკურ მონაცემებთან დაკავშირებით რეგიონის საჭიროებები.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები ზაზა შოშიტაიშვილი და ქეთევან მოისწრაფეშვილი, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი გოგიტა თოდრაძე და ადგილობრივი ხელისუფლების ხელმძღვანელი პირები დაესწრნენ.

# საჯარო მოხელეების ვიზიტი პორტუგალიაში



ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე მინდია ჟღერია, ასოციაცია „ანიკას“ ორგანიზებით ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება სოციალური მომსახურების განვითარებისათვის“ ფარგლ-ებში, პორტუგალიაში სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ.

ვიზიტის მიზანი იყო პორტუგალიის სხვადასხვა სოციალური სერვისის გაცნობა, მათ განხორციელებაში ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობის პრაქტიკის გაზიარება.

სასწავლო ვიზიტში მონაწილეობდნენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური დაცვის პოლიტიკის სამმართველოს უფროსი, აჭარის ჯან-მრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, პროექტის სამიზნე მუნიციპალიტეტების: ბაღდა-თის, ხარაგაულის, ქედის, ყვარლის მერები და შუახევის მერის მოადგილე, ასევე მომსახურების მომწოდებელი პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში სამუშაო ჯგუფი ეწვია ლისაბონის სოციალური სერვისების განმახორციელებელ ორ-განიზაციებს, პორტუგალიის სახელ-მწიფო სტრუქტურებსა და სხვადასხვა მუნიციპალიტეტს.

# შეიცავს თუ არა რაიმე სახის გარემოსდაცვით საფრთხეს ლიხაური-ზოტის ორჯაჭვა 110-კილოვოლტიანი ხაზის მშენებლობა?



მშენებლობის ბანერი სოფ. ზოტის გადასახვევთან

ელექტროსისტემის და კონტრაქტორი კომპანიის წარმომადგენლებთან ერთად.

ადგილზე მისულთ იქ საგანგაშო მდგომარეობა არ გვინახავს,მიმდინარეობს გეოლოგიური კვლევა, სინჯები აღება.

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ „აღნიშნული პროექტი წარმოადგენს „ელექტროენერგეტიკული ქსელის გაუმჯობესების პროგრამის (ENIP) ნაწილს. სსე პასუხისმგებელია ელექტროენერგეტიკული ქსელის გაუმჯობესების პროგრამის განხორციელებაზე, საერთაშორისო კონსულტანტებისა და მშენებელი კომპანიის (კონტრაქტორი) ტექნიკური დახმარებით.

გურიის პროექტი ხორციელდება მაღალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. მოსამზადებელ ეტაპზე სსე-მ საერთაშორისო -კონსულტანტებთან ერთად გამოიკვლია პროექტის არეალი, გარემოზე ზემოქმედების შესაძლო საფრთხეები, რათა შერჩეულიყო საუკეთესო ალტერნატივა. ჩაატარა საჯარო განხილვები. ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო რეგულაციებზე დაყრდნობით ჩამოყალიბდა საჩივრების მართვის პროცედურა.



საერთაშორისო და ადგილობრივი კონსულტანტების მიერ **ჩატარდა კვლევები იმის დასადგენად, თუ რა გავლენა ჰქონდა სხვადასხვა ალტერნატიულ ხაზს მოსახლეობასა და გარემოზე, შენობებზე, დასახლებულ და დაცულ ტერიტორიებზე, რათა მომხდარიყო სენსიტიური ჰაბიტატების მაქსიმალურად არიდება.** კვლევის შედეგები ასახულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში".

**გურამ ყაფლანიშვილი**,*კომპანია „მითაშ ენერჯი ენდ მეტალ ქორსთრაშენ" გარემოს დაცვისა და სოციალური საკითხების მენეჯერი:*

*–როგორც იცით, არსებობს ოზურგეთი (ლიხაური) ზოტი ჰესის დამაკავშირებელი 110-კილოვატიანი გადამცემი ხაზის პროექტი, რომლის განსახორციელებლად ჯერჯერობით სრულდება მხოლოდ გეოლოგიური სამუშაოები, კონკრეტული ადგილის გაბურღვა და სინჯების აღება, ამისთვის საჭიროა მისასვლელი გზების წესრიგში მოყვანა, რათა სათანადო ტექნიკამ მოახდინოს გადაადგილება. კონკრეტულად, ამ მონაკვეთზე, სადაც ჩვენ ვიმყოფებით, იგეგმება № 119, 120, 121, მაღალი გადამცემი ხაზების ანძების განთავსება. წინა დღეებში ძლიერ წვიმდა, ანძის გეოლოგია, სინჯების აღება მხოლოდ №121 ანძის განთავსების ადგილას შევძელით. მომდევნო კვირაში იგეგმება №119, 120 ანძების გეოლოგია, რის შემდეგაც ამ მონაკვეთზე შეწყდება სამუშაოები და მაღალ-გადამცემი ხაზების ტრასის სხვა მონაკვეთზე გადავალთ.*

*ამ სინჯების საფუძველზე ჩატარებული კვლევებით ჩვენ შევძელით მაღალი გადამცემი ხაზების ტრასაზე 18 ერთეულით შეგვემცირებინა დასადგმელი ანძების რაოდენობა .*

*2-2,5 მეტრი სიგანის გზა, რომელიც მოვაწესრიგეთ საშუალო სიმძლავრის ტექნიკაზეა გათვლილი, რომლებიც ბორბლებზე გადაადგილდება. აქედან 560 მეტრში, (გზა, რომელიც ახლა გააკეთეს) ხეების კორომთან გზის ბოლო წერტილია. №118 ანძა მდინარე ბახვისწყლის გაღმა უნდა დაიდგას და ბაისურას მხრიდამ არსებული გზით შევალთ. ამას მოიცავს პროექტი. მისასვლელ გზას კონტრაქტორი კომპანია გაიყვანს.–* გვითხრა გურამ ყაფლანიშვილმა.

აღნიშნული პროექტის შესახებ ასევე გვესაუბრნენ: „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის"სოციალური საკითხების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე **ვლადიმერ ბიბილური,** საერთაშორისო პროექტების გარემოსდაცვითი კოორდინატორი **ზეზვა ხვედელიძე,** გეოდეზისტი **გიორგი მელიქი-შვილი**.



*– „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" ახორციელებს ელექტროგადამცემი ხაზების „გურიის"პროექტს. პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ. ბახმაროს მიმდებარე ტერიტორიაზე მიმდინარეობს საინჟინრო- გეოლოგიური კვლევები და ნიადაგის სინჯების აღება, რომ განისაზღვროს გადამცემი ანძებისთვის რა ტიპის მოცემულობა არსებობს. კონკრეტულად,„ბაისურას ღელის"ხეობაში 119, 120, 121 ანძა უნდა დაიდგას. 110 კილოვოლტიანი„ოზურგეთი-ზოტიჰესის"ელექტრო გადამცემი ხაზის სიგრძეა 45 კმ. და უნდა განთავსდეს 140 ანძა. ჩვენ თვალყურს მივადევნებთ სამუშაოებს, გავეცანით ყველა დოკუმენტაციასა თუ ნებართვებს. მოვითხოვეთ კომპანიისგან ბანერების დამატება სამუშაო ადგილებზე და საჯარო შეხვედრა მოსახლეობის ფართო ფენისთვის, რათა მოიეწოდოს მათ მეტი ცნობები არსებულ პროექტზე.*

*ამ ეტაპზე პროექტიის ფარგლებში მიმდინარეობს საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა გზშ პირობების მიხედვით.–*ამბობს გარემოსდაცვითი ორგანიზაცია „ეკოს" დამფუძნებელი **ირმა გორდელაძე.**

გაზეთ „ალიონთან" კომენტარი **სამსონ სიამაშვილმა** გააკეთა:

*– როგორც ალვნიშნე, გურიის პროექტის დაგეგმვა და განხორციელება მიმდინარეობს მაღალი საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. **პროექტის ეფექტურად განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია დაინტერესებული მხარეებისა და მოსახლეობის ჩართულობა, რათა შეძლონ თავიანთი შეხედულების დაფიქსირება.** შესაბამისად, უახლოეს პერიოდში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში იგეგმება საჯარო შეხვედრის ჩატარება. შეხვედრას დაესწრება სსე-ს წარმომადგენლები, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, რეგიონალური მედია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები და მოსახლეობა–*განაცხადა გაზეთ „ალიონთან" სამსონ სიამაშვილმა.

**ნუგზარ ასათიანი**

# ვალერიან ქავთარაძის გახსენება



ვალერიან (ვალიკო) ნოეს ძე ქავთარაძე დაიბადა 1921 წლის 3 მაისს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ჭანიეთში. მან ჭანიეთის რვაწლიანი სკოლა დაამთავრა და შემდეგ სწავლა განაგრძნო ოზურგეთის ჩაის მრეწველობის ტექნიკუმში.

სიმღერის ნიჭი ვალერიანს ბავშვობიდანვე გამოჰყვა. იგი თავის თანატოლებთან ერთად სოფლის ცენტრში ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს და სიმღერით ერთობოდნენ. შემდგომ, როცა დავაჟკაცდა, მღეროდა სოფლის გუნდში ცნობილ ლოტბარ თეიმურაზ კვირკველიასთან. უკვე ჩამოყალიბ-ებული მომღერალი ვარლამ სიმონიშვილის გუნდში ჩაირიცხა და გამოცდილ მომღერლებთან ერთად აქტიურად მონაწილეობას იღებდა რაიონულ და რესპუბლიკურ ღონისძიებებში.

ვალერიანი ანსამბლ „შვიდკაცას" პირველი ნაკადის წევრი იყო. მისმა თანასოფლემა –მიხეილ შავიშვილმა მიიწვია იგი ანსამბლში, როგორც გურული სიმღერების კარგი მცოდნე და უბადლო შემსრულებელი.

ვალერიანი (ვალიკო) ჩემი შეხედულებით ერთ-ერთი საუკეთესო წევრი იყო ანსამბლში. იგი გამოირჩეოდა როგორც გურული სიმ-ღერების კარგი ცოდნით, ასევე თავისებური მანერებით. არაჩვეულებრივი, გემრიელი ხმა ჰქონდა ვალიკოს. მას ნამდვილად ეტყობოდა, რომ გავლილი ჰქონდა არტემ და ვლადიმერ ერქომაიშვილების სკოლა და რაც მთავარია ვარლამ სიმონიშვილის სკოლა, რაც ყოველთვის ეტყობოდა მის ნამღერს.

ვალერიანი დაქორწინდა მაკვანეთელ ლეონიდე კალანდარიშვილის ქალიშვილზე –ნაზი კალანდარიშვილზე. ამის გამო ხშირად ვხდებოდით ერთმანეთს ჩემს სოფელში, რადგანაც ლეონიდე კალანდარიშვილი იყო მამაჩემის მეგობარი და როცა სტუმრობდა კალანდარიშვილებს, იმართებოდა დიდი ლხინი, სადაც ხშირად მეც ვხდებოდი ლხინის მონაწილე.

ვალერიანს შეეძინა ორი შვილი-ლამზირი და ნუგზარ ქავთარაძეები. ოჯახში იყო დიდი სიხარული და ჩვეულებრივი მხიარული ოჯახი განაგრძობდა ხალისიან ცხოვრებას, მაგრამ დატრიალდა ძალიან დიდი უბედურება მთელ სოფელში.

1981 წლის 24 მარტს ვალერიანი საკუთრი ავტომობილით თავის შვილთან –ნუგზარისთან, თავის მეზობელთან –ნოდარ კალანდაძესთან და მის განუყრელ მეგობართან –სანდრო სურგულაძესთან ერთად მიდიოდნენ ახლობლის გასვენებაში. ვალიკომ საჭესთან შვილი –ნუგზარი დასვა და ჭანიეთი-ოზურგეთის გზაზე მოხდა უბედური შემთხვევა – ავტოავარია, რის შედეგადაც ოთხივე გარდაიცვალნენ.

ამ არნახულმა და არგაგონილმა ტრაგედიამ შეძრა მთელი სოფელი, რაიონი და მთელი საქართველო. მსგავსი რამ არ მომხდარა მანამდე და არც შემდეგ. ღმერთმა ნუ ქნას, განმეორდეს მასგავსი საშინელება.

რაოდენ დასანანია, რომ ტრაგიკულმა სიკვდილმა შეიწირა ოთხი თანასოფლელი, სოფლის საუკეთესო შვილები, საუკეთესო მეგობრები და განუყრელი ძმაკაცები.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მათი სულები. ჩვენ კი ვილოცოთ, რომ ქვეყნად მშვიდობა იყოს.

**ტრისტან სიხარულიძე,**
ხელოვნების ქურუმი.

# ღვინის ღვთაება ქართულ მითოლოგიასა და ფოლკლორში



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასწავლო-სამეცნიერო კონფერენციაზე **,,გურული ვაზი და ღვინო - ტრადიციები და გამოწვევები"** მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემაზე ,,ღვინის ღვთაება ქართული მითოლოგიაში,ფოლკლორსა და ხალხურ მუსიკაში". შეიქმნა ჯგუფი-მითოლოგია-ფოლკლორი-მუსიკა, მოსწავლეებს მიეთითათ კვლევის სათაური, გამოსაყენებელი ლიტერატურა. მოიპოვეს საინტერესო და მრავალფეროვანი მასალა.

საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, სადაც დღემდე შემონახულია ღვინის დაწურვის, შენახვისა და მოხმარების არქაული წესები.ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტები-ქორწინება, შვილის დაბადება, ნათლობა, დაკრძალვა და სხვა, ღვინის დალევისა და დალოცვის გარეშე არ ხდებოდა. როგორც ჩანს, ეს იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენს ხალხს ღვინო ,,წმინდა" სასმელად წარმოედგინა. ღვთაებებს სწირავდნენ პურს და ღვინოს, რომელსაც ,,ზედაშეს" უწოდებდნენ.

ღვინის თაყანისცემიდან გამომდინარე, საქართველოში ცნობილი იქნებოდა დიონისეს კულტი.დიონისე ან დიონისოსი ბერძნულ მითოლოგიაში მევენახეობის, მეღვინეობის, მეურნეობისა და მცენარეულობის მფარველი ღვთაებაა. მას მუდამ ახლდნენ მისი მხიარული სატირები, დიონისეს კეთილგანწყობაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორი იქნებოდა რთველი. ჰომეროსის თანახმად, დიონისე არ შედიოდა მთავარ ღმერთთა დასში, იგი ამ დასის წევრი მოგვიანებით გახდა. იგი ასევე იყო ღვინის, თრობისა და სულიერი შვების მომგვრელი ღვთაება.ხალხს ძალიან უყვარდა ეს მხიარული ღვთაება. იგი დადიოდა სხვადასხვა ქვეყანაში და ასწავლიდა ვაზის მოვლასა და ღვინის დაწურვას. დიონისეს მცენარეული სიმბოლო ვაზის მტევანი და სუროა. მას უძღვნიდნენ ჰიმნებს. ამ ჰიმნს ასრულებდა ქორო(გუნდი).ქართულ სინამდვილეში დიონისეს ღვთაება ჩაანაცვლა აგუნამ და ნუნუამ.

აგუნა ქართული მითოლოგიის მნიშვნელოვანი და ერთ-ერთი უძველესი ღმერთი იყო. საქართველოში, როგორც ღვინის სამშობლოში მას განსაკუთრებული პატივი მიეგებოდა, ვინაიდან მევენახეობა-მეღვინეობის მფარველად ითვლებოდა. მის საპატივცემულოდ რიტუალები საქართველოს სხვადასხვა კუთხეში იმართებოდა, მაგალითად გურიაში საახალწლოდ ,, აგუნას პურს'' ამზადებდნენ. ერთ-ერთი მკვლევარი თვლიდა, რომ კერპთაყვანისმცემლობის დროს გურულებს აგუნა მიწის ნაყოფისა და სიუხვის მფარველად ჰყავდათ. სიტყვა აგუნა, თანაც სწორედ ამ ფორმით გვხვდება ადიღეურ, ნართულ თქმულებებშიც,სადაც ,,ნართების ჯადოსნურ სასმელს" ან ,,პატარა კასრს" აღნიშნავს, სპარსულში კი" ანგურ" ყურძენია. ეჭვი არ არის, რომ ამ სიტყვებს კავშირი აქვს ქართულ ღვინოსთან.

ნუნუა არის ღვინო, ღვინის ღმერთი, იგივე აგუნა. დიონისე — ბახუსის ორეული, განსაკუთრებით ცნობილია დასავლეთ საქართველოში. გურულ საახალწლო სიმღერაში ,,აგუნა",,,ვასადარა ჩაგუნა"შესაძლოა შემორჩენილი ყოფილიყო ,,რა აგუნად".ესაა რიტუალური ჰიმნი, რომელსაც ასრულებდნენ საწნახელზე კაკუნის აყოლებით.

ქართველისთვის ვაზი ოდითგანვე სულდგმულად, ცოცხალ არსებად და თითქმის ოჯახის წევრადაც კი გაიაზრებოდა. ქართულ სიტყვიერებაშიც დიდი ზრუნვის საგანია. ეს მითებსა და თქმულებებშიც აისახა. საქართველოში ღმერთი ხელით დაატარებდა ვაზს და ავრცელებდა.ვაზი სიუხვის ერთ-ერთი უძველესი სიმბოლო იყო. ,,ძველ აღთქმაში''ვაზმა განასახიერა ,,ხე ცხოვრებისა." ეს იყო პირველი მცენარე, რომელიც ნოემ წარღვნის შემდეგ დარგო.

საქართველოში ვაზის ბიბლიურ სიმბოლიკას შეერწყა ჩვენი ეროვნული თაყვანისცემა ვენახისა. ქართველთა წარმოდგენით, ის (ვაზი) სიცოცხლის ხეა, ამიტომაც ჩააწნეს ქართულ ჩუქურთმაში, ამიტომაც არსებობს საოცარი საგალობელი,,შენ ხარ ვენახი", ამიტომაც მისცა ჯვარს ნინომ ქართული სახე და გააკეთა ვაზისგან

*,,ვაზო, შვილივით ნაზარდო,*
*მოვკვდები მე შენს ძირშია.*
*შენით ვარ მხნე და გულადი*
*იმედი გასაჭირშია."*

ქრისტიანული ვაზი ძირეულად განსხვავდება დიონისური იმ სიმბოლიზმისგან, რომელიც ღვინის ღვთაებას, ბახუსის სახელს უკავშირდება.

ყურძენი და ხორბლის მარცვალი ქრისტიანული სიმბოლოებია - იესო ქრისტეს სისხლისა და სხეულის აღმნიშვნელი. ქრისტიანულ ხელოვნებასა და არქიტექტურაში ყურძნის მტევანი, პირველ რიგში, მკვდრეთით აღდგენის სიმბოლო და მხოლოდ ამის შემდეგ იყო სიუხვის, სტუმარ-თმოყვარეობის, შემოდგომის განსახიერება.

ვაზი, იოანეს სახარების მიხედვით, თავად ქრისტეა ,,მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი, და მამა ჩემი მევენახეა.'' რადგანაც ვაზის სიმბოლიკა ღვთის მადლს მოასწავებდა, ამიტომ სოდომის ცოდვის მიწაზე ყურძენი საჭმელად უვარგისი იყო. ნებისმიერ გამვლელს შეეძლო ეჭამა ყურძენი სხვისი ვენახიდან, ოღონდ სახლში არ უნდა წაეღო ნაყოფი, მხოლოდ და მხოლოდ წყურვილი უნდა მოეკლა. რთველი - ყურძნის მოსავლის აღება, ბიბლიური გაგებით, დღესასწაულად ითვლებოდა. არ შეიძლებოდა ყურძნის უსიხარულოდ კრეფა, ხოლო უწმინდურებს ეკრძალებოდათ რთველში მონაწილეობა. ასევე ითვლებოდა გურიაშიც. საქართველოში ვაზის გავრცელება გაქრისტიანებასაც გულისხმობდა. ცნობილია, რომ ქრისტიანობის გავრცელების დროს მოხდა ადრე არსებული წარმართული შეხედულებების ნაწილობრივი ასიმილაცია, წარმართული კულტების ქრისტიანულ კულტებთან შერწყმა.

გრიგოლ რობაქიძის თქმით, ,,ქართულმა ქრისტიანობამ წარმართობა კი არ მოსპო, არამედ შინაგანად შეიზარდა იგი, კიდევ უფრო სწორად, მისგან ამოიზარდა.''

ვაზის სიმბოლიკას მითოლოგიასა და ქრისტიანობაში ასეა ჩამოყალ-იბებული, რასაც იზიარებდნენ გურიაშიც:

მითოლოგია

1. ბუნების სიუხვის სიმბოლო;
2. ვაზის, ღვინის ღვთაების, ბახუსის კულტთან დაკავშირებული ღვთაება;
3. ასოცირდება ,,სიცოცხლის ხესთან''.

საერთო შტრიხები:

1. დიონისე აღადგენდა მიცვალებულს;
2. ხე ცხვრებისა ერქვა ვაზს;
3. დიონისე ასწავლის ვაზის მოვლას;
4. დიონისეს უმღერის ქორო,''აგუნას''ასრულებს გუნდი.

ქრისტოანობა

1. ქრისტეს იგავთა მთავარი სიმბოლო სახეა ,,ახალ აღთქმაში;
2. ასევე იხსენიება ვენახი მაცხოვრის იგავებში;

,, მე ვარ ვენახი, ჭეშმარიტი'' და ასევე საიდუმლო სერობაზე ,,არღარა ვსუა მე ნაყოფისაგან ამის ვენახისა'' ;

3. ქრისტიანობაში ვაზი ღვთაების საწყისს მიემართება და ამავდროულად ქრისტეს სახის აღმნიშვნელიცაა;
4. ვენახი გამრავლებული ღვთის მადლის სიმბოლოა.

საერთო

1. იესომ აღადგინა ლაზარე;
2. ცხოვრება ნაყოფით იცნობა, ხე კეთილი ნაყოფის მომსხმელია;
3. ქრისტე ასწავლის უფლისკენ მიმავალ გზას;
4. უფლისთვის გალობენ;
5. ვაზისგან დაწურული ღვინო ქრისტეს სისხლია, პური კი მისი ხორცი;
6. ქრისტესა და ღვთისმშობლის სიმბოლოც ვაზია;
7. ღვინით აზიარებდნენ;
8. ღვინოს საკურთხეველზე აპკურებდნენ.

ღვინის ღმერთ აგუნას საპატივცემულოდ ტარდებოდა მრავალი რიტუალი, იქმნებოდა ლექსი და სიმღერა.ტრადიციები არსებობდა არამარტო ოჯახებში,არამედ მთელ გურიაში.

ყურძნის კრეფის დროს სოფლებში იკრიბებოდა ნადი.ნ ხანდახან 600 კაციც კი და მათი ხმა მეორე სოფელში ისმოდა.

აგუნას როლი დიდი იყო გურული კაცის ცხოვრებაში,რადგან გურული კაცი მიიჩნევდა,რომ იმ წლის მოსავალი აგუნაზე იყო დამოკიდებული.ამიტომაც ის ქმნიდა ლექსებს მის საპატივცემულოდ,მაგალითად:

*,,აგუნა,აგუნაგამეიარეო,*
*ბახვი,ასკანა გადმეიარეო,*
*ჩვენს მამულში ყურძენი,*
*სხვის მამულში ფურცელი"*

გურიაში განსხვავებული იყო მარნებიც. ღია მარნის შექმნის დროს მიწაში იდგმებოდა ქვევრები, ხოლო ირგვლივ ხეები ირგვებოდა.

გურული მარანი საკურთხეველივით იყო,ქალს არ შეეძლო იქ შესვლა.თუ მეუღლე სახლში არ იქნებოდა, მაშინ მეზობლის კაცი უნდა მოსულიყო და მას უნდა ამოეღო ღვინო ქვევრიდან.

მარანი საქართველოში ყურძნისა და ღვინის კულტის წყალობით, (რომელიც მინიმუმ ძვ.წ 6000 წლიდანაა ცნობილი) სათაყვანებელი და წმინდა ადგილი გახდა .ხშირად სწორედ მარანში იკვლებოდა შესაწირი ცხოველი, აქ გადაიხდებოდა ხოლმე ქორწილი,თუ ჯვრისწერას ეკლესიაში ვერ ახერხებდნენ, მღვდელი ჯვრისწერის საიდუმლოს მარანზე ატარებდა. ქრისტიანობის შემოსვლის შემდეგ, ზოგჯერ მარანში იმართებოდა ნათლობის აღსანიშნავი სუფრაც და ა.შ.

აგუნას რიტუალის ზოგიერთი ელემენტი პარალელურია ფრიგიული, ბერძნული და რომაული დიონისეს, იმავე ბახუსის კულტთან. როგორც გიორგი ჩიტაიას ,,ქართული საბჭოთა ენციკლოპედია'' იტყობინება, აგუნას კულტი საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მე-19 საუკუნამდეც იყო შემორჩენილი.

მევენახეობა-მეღვინეობის ქართული წარმართული ღვთაება.აგუნას პატივსაცემი რიტუალი საახალწლო-საშე-მოდგომო დღესასწაულებზე სრულდებოდა.საახალწლო აგუნას სახელზე ცხვებოდა ვაზის რქის ამ მტევნის ფორმის კვერები.გურიაში ამგვარ კვერს ,,აგუნას პურს" ეძახდნენ. გურიის გარდა,პურს ჰქონდა ყურძნის მტევნის ფორმა და ამიტომ ეძახდნენ ,,მტევანას".

კლარჯეთში რთვლის დროს ლხინს მართავდნენ. ვენახში აკიდოებით შემკული შიშველი ყმაწვილები ფერხულს ცეკვავდნენ. ამბობენ,რომ გურული ფერხული სარიტუალო ცეკვაა და შესაძლებელია მას აგუნას კულტთან ჰქონდეს კავშირი.

უძველესი დროიდან ცნობილია სიტყვა ,,თამადა".დღეს ეს სიტყვა ცნობილია მთელ მსოფლიოში და გურიაშიც ცნობილი იყო. ბრინჯაოს ქანდაკება მინიატურული სკულპტურა ,,თამადა" თარიღდება ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნით და იგი დაცულია საქართველოს ეროვნულ მუზეუმში.(ზაზა აბზიანიძე ,,სიმბოლოთა ენციკლოპედია)

ნიკო ფიროსმანის ერთ-ერთი ნახატი ,,თავადი ყანწით" რომელიც დაცულია პეტერბურგის რუსულ მუზეუმში, გამოხატავს ქართული პურობის ეპიზოდს.

სკულპტურასაც და თავადსაც ხელში ყანწი უჭირავთ. აქედან გამომდინარე, ყანწი ტრადიციული სასმისია, რომელსაც იცნობს გურიაც.

ქართველი მიწათმოქმედი ერია იგი ოდიდგანვე მისდევდა და მისდევს ამ საქმიანობას.ქართველ ხლხს სჯერ-ოდა, რომ მიწათმოქმედების დარგებს თავიანთი მფარველები ჰყავდათ.ასეთია ყურძნის ღვთაება აგუნა.მის სადიდებლად წარმოითქმებოდა ჰიმნის სახით შემდეგი სიტყვები:

*,,აგუნა,აგუნა გადმეიარეო,*
*ბახვი ასკანა გამეიარეო,*
*ჩვენს სოფელში ყურძენიო,*
*მტრის მამულში ფურცელიო,*
*ჩვენს მამულში გოდრითაო,*
*მტრის მამულში-გიდლითაო!*
*ჩვენს ქალებს ყაჭი და აბრეშუმი,*
*მტრის ქალებს-ტარი და კვირის*
*თავი.''*

ასევე აქვს გაგრძელებაც:

*,,ჩვენს მამულში გოდორ-გოდორი,*
*სხვის მამულში კიმპალ-კიმპალი".*

ამ ლექსს წარმოთქვამდნენ ახალი წლის დილით ან მეორე დღეს ვენახში ან მარანში საწნახელთან.

გურიაში ახალი წლის ღამესაც ტარდებოდა რიტუალი: ანთებული სანთლებით ჩამოივლიდნენ მარნებს, თავდაყირავებულ საწნახელს ნაჯახის, თოხის, გურიაში კი წალდის ყუას ურტყამდენ და ლექსს ამბობდნენ" აგუნა,აგუნა გადმეიარეო''...

ამ რიტუალში მონაწილობა 9-12 წლის ბავშვებს შეეძლოთ, რაც დიდი პატივი იყო.

გურულისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი დღე კალანდა იყო. ამ დღეს ის მეზობელსაც კი არ იღებდა სახლში. მთელ 6 დღეს (ანუ ნათლისღებამდე) სურვილების ჩაფიქრებაში ატარებდა და სწამდა, რომ, რასაც ჩაიფიქრებდა, იმით უზრუნველყოფილი იქნებოდა მომავალ წლამდე. დღემდე შემორჩენილი საკალანდო რიტუალი, რომელიც გულისხმობს ხონჩაზე დალაგებულ შემდეგ ატრიბუტებს: ხაჭაპურს, ღორის თავს, სხვადასხვა ხილსა და ტკბილეულს, ანთებულ სანთელს — ეს ყველაფერი უკავშირდება აგუნას კულტის ტრადიციას,გარდა სანთლისა, ეს დეტალი ქრისტიანობამ შემოიტანა,

არსებობდა ვენახის კურთხევის ტრადიცია. მღვდელი მოჰყავდათ საგანგებოდ და ახალჩაყრილ ვენახს აკურთხებიებდნენ. უფალს სთხოვდნენ, გაემრავლებინა, დაეცვა იგი ყინვის, თრთვილის,სეტყვისა და ქარისაგან.

გურიაში ასეთ ლოცვას ასრულებდნენ *,,აგუნა,აგუნა,ჩვენს სამშობლოს ღვინო და ყურძენი,სხვებს ფურცელიო."*

გურიაში მთქმელი ბავშვს აიყვანდა ხელში და ამბობდა: ,,*აგუნა, აგუნა, მოდი, გვესტუმრე,ბახვის და ასკანის გზაი გამეიარე, მოასხი ჩვენს ვენახს კეთ-ილი ყურძენი, უმრავლე სხვის ვენახს ფოთოლხშირი.* (თედო სახოკია"მოგზაურობა გურიაში...")

გურიასა და ზოგადად საქართველოში არსებობს ღვინის საფლავზე დასხმის ტრადიცია, ეს ხალხურია, წარმართული და საკურთხევლის პატივისცემასთან ასოცირდება. ერთბაშად საფლავზე დაღვრილი ღვინო ქრისტიანული თვალსაზრისით არასწორია." ღვინის წაქცევა" სიმბოლურად გამოხატავს მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ მისი სხეულიდან ჩამოსულ სისხლის წვეთებს, რომელიც მიწაზე დაიღვარა და მართალთა სულები განწმინდა. ამიტომ ღვინო უნდა,,წაიქცეს" საფლავზე და მისგან უნდა გადმოიღვაროს მხოლოდ რამდენიმე წვეთი.

მაგიდასთან მიცვალებულის პატივსაცემად პურის ღვინოში ჩაწება ქრისტიანული ზიარების საიდუმლოების გამოხატულებაა.

უძველესი დროიდან ღვინო კულტმსახურების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო. საკულტო ცერემონიალი, უშუალოდ კულტის მიმართ რიტუალური თაყვანისცემის პროცესი, ღვინის დალევით სრულდებოდა.

აგუნას კულტი აისახა გურულ მუსიკალურ ფოლკლორში,,,აგუნა" და ,,აგიდელა" სარიტუალო სიმღერებია.

ძველ დროში ნადი სიმღერის გარეშე არ ტარდებოდა,სიმღერის პულსაცია და რიტმი განაპირობებდა მუშაობის ტემპს.იგი ადამიანს ეხმარებოდა სამუშაოს შემსუბუქებაში.სიმღერისა და მუსიკიც გარეშე ასევე წარმოუდგენელი იყო სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების რიტუალი.ასეთი რიტუალია ,,აგუნა".

ნადი სიმღერის გარეშე არ იმართებოდა.გურიაში ყურძენს ხეზე უშვებდნენ.კრეფის დროს ქირაობდნენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც ხეზე ასვლა და სიმღერა შეეძლოთ.მოკრეფილ ყურძენს გიდელში აგროვებდნენ. როდესაც გიდელი აივსებოდა,მკრეფავი დაიძახებდა ,,გიდელი",ამას მოჰყვებოდა მეორე, მესამე დაძახებადა ასე გრძელდებოდა რთვლის დასრულებამდე.კრეფის პროცესში სრულდებოდა სიმღერა ,,აგიდელი".

თემაზე იმუშავეს მე-10 კლასის მოსწავლეებმა-**მარიამ სადრაძემ** და **დავით ჩხატარაშვილმა;** მე-9 კლასის მოსწავლემ **მარიამ გეგიაძემ.**

თემის ხელმძღვანელები **ნ.ვაშალომიძე** და **მანანა არევაძე**.

# ნოდარ დუმბაძის სახელობის მე-3 საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის გამარჯვებულები



თელავის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი პაატა გულიაშვილი და მსახიობი ვანო იანტბელიძე

### საუკეთესო სცენოგრაფია

**ლომგულ მურუსიძე, ქეთევან ციციშვილი**

მიხეილ ჯავახიშვილი „ჯაყო“, ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

რეჟისორი გოჩა კაპანაძე

### საუკეთესო მსახიობი

**მარინა დარასელია**

ეთეროს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „შაშვი შაშვი მაყვალი“

რეჟისორი ნიკა ჩიკვაიძე

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

### საუკეთესო მსახიობი

**რამაზ ხომასურიძე**

ჯაყოს როლის შესრულებისთვის სპექტაკლში „ჯაყო“

რეჟისორი გოჩა კაპანაძე

ცხინვალის ივანე მაჩაბლის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

### საუკეთესო რეჟისორი

„ნუ გაალღვიძებ“, ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი

**რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი**

### ქართული მწერლობის საუკეთესო სცენური ინტერპრეტაცია

„შაშვი შაშვი მაყვალი“, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრი, **რეჟისორი ნიკა ჩიკვაიძე**

### საუკეთესო სპექტაკლი

**„კაცია - ადამიანი?!“**

თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი

რეჟისორი ლევან წულაძე (თელავის თეატრს გადაეცა სმარტ კაპიტალის მიერ დაწესებული პრემია 10 000 ლარი)

# ელენე მაცხონაშვილი ფესტივალის საუკეთესო რეჟისორად დასახელდა



რეჟისორ ელენე მაცხონაშვილს, რომელიც ამ ფესტივალზე ორი ნამუშევრით წარმოდგინდა, საქართველოს კულტურის სამინისტროს ჯილდო – 3 ათასი ლარი გადაეცა. მასვე ფესტივალის ჟიურიმ ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განხორციელებული დადგმა: ნოდარ დუმბაძის „ნუ გაალღვიძებ“, საუკეთესო რეჟისორულ ნამუშევრად დაასახელა.

დაჯილდოების ცერემონიალზე საქართველოს კულტურის მინისტრმა **თეა წულუკიანმა** განაცხადა.

*–სამინისტროში ამ ფესტივალის დაფინანსებაზე მუშაობისას, ბიუჯეტში მოვიტოვეთ მინიმალური საგრანტო თანხა, რომ ფესტივალის ჟიურის გარეშე გამოგვეკვეთა ერთი ნომინანტი. ეს იმანაც განაპირობა, რომ შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული თეატრი, თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი და მასპინძელი, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრი კონკურსგარეშე მონაწილეობდნენ ამ ფესტივალში. ასეთ ნომინანტად კი გამოვკვეთეთ რეჟისორი ელენე მაცხონაშვილი, რომელმაც ოზურგეთის სახელმწიფო თეატრის სცენაზე თავისი საავტორო სპექტაკლი ნოდარ დუმბაძის „ცის-კარი“ წარმოადგინა.“ჩვენ მას 3 000 ლარით ვაჯილდოებთ*–თქვა თეა წულუკიანმა.

ფესტივალის ჟიურის გადაწყვეტილებით ზესტაფონის უშანგი ჩხეიძის სახელმწიფო თეატრის სცენაზე განხორციელებული დადგმისათვის, ნოდარ დუმბაძის „ნუ გაალღვიძებ“, ელენე მაცხონაშვილი ფესტივალის საუკეთესო რეჟისორად დასახელდა.

დაჯილდოების ცერემონიალის დასრულების შემდეგ გაზეთ „ალიონთან“ თავისი ემოცია გამოხატა ელენე მაცხონაშვილმა:

*–ძალიან დიდი მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, ჟიურის, ფესტივალის თითოეულ მონაწილეს და არაჩვეულებრივ მაყურებელს ჩვენი გულშემატკივრობისათვის. განსაკუთრებით მადლობა ნოდარ დუმბაძის შემოქმედების გულშემატკივრებს ჩვენი ნამუშევრის შეფასებისთვის* –გვითხრა ელენე მაცხონაშვილმა.

# „წარმოიდგინეთ, რომ არ ვთამაშობთ და ყველაფერი სინამდვილეში ხდება“



ნოდარ დუმბაძე — ამ პიროვნების ნაფიქრ-ნააზრევი უკიდეგანო სივრცეს მოიცავს. ის ჩასახლდა მწერლობაში, პოეზიაში, თეატრალურ თუ კინო სამყაროში, ჩვენს ყოფით ცხოვრებაში. ცალკე ფენომენია გურია და ნოდარ დუმბაძე, თემაც ამოუწურავი. ამიტომაც არის სიმბოლური, ნოდარ დუმბაძის სახელობის, რიგით მესამე თეატრალური ფესტივალი გურიას სტუმრობდეს.

ოზურგეთს მიეცა შესაძლებლობა ფესტივალზე ემასპინძლა არაერთი თეატრისთვის, საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ასევე სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებმაც წარმოადგინეს სასცენო ვარიანტები, ქართველი კლასიკოსების, თუ უცხოელი დრამატურგების შემოქმედებიდან. მათ შორის ბევრი, ახალი ხედვით გადმოცემული და დასანახი.

ერთ-ერთი პერსონაჟის სიტყვებიდან: - *„ჩვენ თეატრში ვთამაშობთ. სცენაზე მოკლული მსახიობი, რამდენიმე წუთში დგება და მადლობას გიხდით გულშემატკივრობისთვის. მაგრამ წარმოიდგინეთ, რომ არ ვთამაშობთ და ყველაფერი სინამდვილეში ხდება.* “ დიახ, ერთი საინტერესო ფრაგმენტია რეალური ყოფიდან, როცა ერთმანეთს უსმენს, შემოქმედებითი კოლექტივი და მაყურებელი.

მაყურებელთა ოვაციები და მოწონება ყველამ დაიმსახურა. ყველამ თავისი სილამაზე და შინაარსი შესძინა ფესტივალს, მაგრამ ამ შემთხვევაში, ცხინვალის თეატრზე შევაჩერებთ ყურადღებას. რომლებმაც მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყო“ წარმოადგინეს. ტკივილიანი თემა, არც ისე შორეული წარსულიდან მოდის და დღესაც არ კარგავს აქტუალობას. უფრო მძაფრია, უფრო მძიმე.

— *„მადლობთ, რომ არსებობთ“*, სპექტაკლის დასრულების შემდეგ, ასე მიმართა თითქმის საუკუნე ნახევარს მიღწეულ ცხინვალის თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, თავისი ტრადიციული გამოსვლისას, ოზურგეთის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ნოდარ დუმბაძის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის დამფუძნებელმა **ვასო ჩიგოგიძემ.**

„მამული, ენა, სარწმუნოება“- მამულს მოსწყვიტეს, 1991 წლიდან დევნილებად აქციეს. დღემდე არ გააჩნიათ საკუთარი სცენა და, ასეთი რთული პირობების მიუხედავად, კარგად ინარჩუნებენ თვითმყობადობას, მაღალ პროფესიონალიზმს.

სპექტაკლის ინსცენირების ავტორი და რეჟისორი გოჩა კაპანაძე; მხატვარი ლომგულ მურუსიძე, ქეთევან ციციშვილი; კომპოზიტორი/მუსიკალური გაფორმება- ალ. თედიაშვილი, დალი დოიჯაშვილი; მოქმედი პირნი და შემსრულებელნი - ჯაყო - რამაზ ხომასურიძე; მარგო - ლელა მახნიაშვილი; თეიმურაზი - ცოტნე მეტონიძე; ახალგაზრდა მარგო - თინათინ კობალაძე; ნინა - დალი დოიჯაშვილი; ელისაბედი - თამარ გოგიძე; ქეთევანი - ანა ხურციძე; თელკლა - მადონატეხური; ივანე - ვაჟა ციცილოშვილი; ნინიკა - მამუკა პავლიაშვილი;

სპექტაკლი შემოდგომის ფონზე ვითარდება, თავადური გვარის უკანასკნელ, განათლებულ, მაგრამ უსუსურ შთამომავალს, თეიმურაზ ხევისთავს, გაუნათლებელი, მაგრამ ფიზიკურად ძლიერი მოძალადე, ჯაყო ჯივაშვილი უპირისპირდება. სცენაზე მდგარი თავადის ფიტული, კომუნისტური რეჟიმის მორევში იკარგება. ძველი დროების დროში ჩარჩენილ ბანოვანთა სამეულის პროტესტი უძლურია უკვე დამკვიდრებული ძალადობის წინააღმდეგ. კარგადაა გადმოცემული უცხოტომელთა ქურდული შემოპარვა თუ ძალადობით შემოსვლა. ქართული ქორეოგრაფიის უდიდესი წარმომადგენლის, ილიკო სუხიშ-ვილის მიერ დადგმული „სიმდის“ ილეთებიც კი, დრო და დრო რომ გასდევს სპექტაკლს მსვლელობისას, ძალადობითაა გაჯერებული. „ეგრე ვიცის ჯაყომა“. იცის და როცა წინააღმდეგობა სუსტია, ეპატრონება კიდეც სხვის მიწა-წყალს, საკუთრებას, ოჯახს.

საინტერესოა ორი მარგოს სახე. ახალგაზრდა და ასაკოვანი. ერთობლიობაში, როცა ერთი მოქმედებას გამოხატავს, მეორე ემოციის გამომხატველია. ერთი, კონკრეტული მსხვერპლის სიმბოლოა, მეორე და იქაურობას ეცლება, შეურაცხოფილი მარგო კი შურს იძიებს. ფრაზა „ეგრე ვიცის მარგომა“- და... მარგო მძინარე ჯაყოს კლავს. მაგრამ ამით არ მთავრდება ყველაფერი. ჯაყოს მემკვიდრე, რომელიც მალე დაიბადება, ძალადობის ახალი სახე გახდება. ეს დასაწყისშიც სიმბოლურად იყო გადმოცემული. უცხოელთა შემოსვლა ახალშობილთა აკვნებთან ერთად.

განახლებული, ევროპული სტანდარტების მქონე, ოზურგეთის თეატრი საუკეთესო საშუალებას აძლევს ყველა თეატრის შემოქმედებით კოლექტივს, სრულყოფილად გამოხატოს თავისი ემოციები,



მსხვერპლთა სიმბოლო.

საოცარი განცდაა. ტახტრევანი, თავზე ღვთისმშობლის გამოსახულებით, უცხოტომელთა საჯიჯგნად და გასათელად განწირული.

შეურაცხყოფა ბოლომდე ვერ გახდა ასატანი. ჯაყოს ხიზანი, უსუსური თეიმურაზი მარცხდება თუ სათქმელი. ყველა ჩვენება, სრული ანშლაგით მიმდინარეობდა. მაღალი დარჩა ემოციები სტუმართა მხრიდან, საუკეთესო გარემოსა და გულთბილი მასპინლობის გამო, და ოზურგეთელ მაყურებელთა ახალი შეხვედრების მოლოდინი.

**ნინო ნიკოლაიშვილი.**

# თორნიკე ხვედელიძის ტურნირში ლანჩხუთელმა მიხეილ აფხაზავამ გაიმარჯვა



რეგიონალური საჭადრაკო ტურნირი, რომელიც ცნობილი ოზურგეთელი მოჭადრაკის, თორნიკე ხვედელიძის სახელს ატარებს, წელს მეცხრედ გაიმართა. თორნიკე ავტოავარიის შედეგად 2013 წელს, 29 წლის ასაკში დაიღუპა.იგი იყო გურიის პირველი ოზურგეთელი ჩემპიონი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 3-გზის გამარჯვებული. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში, წარმატებით გამოდიოდა რესპუბლიკური და საერთაშორისო მნიშვნელობის საჭადრაკო ტურნირებში, ოლიმპიადებსა და ფესტივალებში, რომლებშიც მრავალჯერ ყოფილა გამარჯვებული, თუ პრიზიორი. იყო საქართველოს ნაკრების წევრი ევროპის პირველობაზე და ახალგაზრდულ ოლიმპიადაზე. 2006 წლიდან ეწეოდა წარმატებულ ბიზნეს საქმიანობას. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა, თორნიკე ხვედელიძის პიროვნული ღირსებებისა და საზოგადოებრივი თხოვნის გათვალისწინებით, მისი სახელი მიანიჭა ქალაქის ერთერთ ქუჩას.

პირველი სამი წელი, მემორიალური ტურნირი, უშუალო თორნიკეს მეგობრების და მისი თაობის მოჭ-ადრაკეების მონაწილეობით ტარდებოდა, მაგრამ ბოლო რამდენიმე წელია იგი, აქტიურ ჭადრაკში( რაპიდი, 25 წთ პარტიაზე) რეგიონალური საჭადრაკო ტურნირის სტატუსით ტარდება და მისდამი ინტერესი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ტურნირი წელსაც შვეიცარული სის-ტემით და აქტიური ჭადრაკის რეგლამენტით ჩატარდა, რომელშიც რეგიონის 14 მოჭადრაკე ღებულობდა მონაწილეობას. დიდ ინტერესს იწვევდა მაღალი ტიტულების მატარებელ მოჭადრაკეთა პაექრობა და მათი შედეგები. ტურნირში ყველაზე კარგი სტარტი გივი სიამაშვილს ჰქონდა, 4-დან 4 ქულა!, მაგრამ დარჩენილ სამ პარტიაში მას ვერაფერი დაუ-მატა. ორჯერ დრო არ ეყო მოგებული პარტიების ბოლომდე მისაყვანად და ერთიც მისგან გამოწვეული ემოციებით დათმო. ალბათ, მსგავსმა ემოციებმა იმოქმედეს ოზურგეთის ჩემპიონის– თენგიზ თოიძის შედეგზეც, რომელმაც ლიდერთან მოგებულ პარტიაში ყაიმი ითამაშა და შემდეგ ორი ქულაც დაკარგა. აშკარად კარგ ფორმაში ყოფნა გამოავლინა ლანჩხუთის ჩემპიონმა **მიხეილ აფხაზავამ,** რომალმაც თ.თოიძესთან დაკარგული ნახევარი ქულის გარდა ყველა პარტია მოიგო და დამსახურებულად გავიდა პირველ ადგილზე. სხვათაშორის წელს მან ოზურგეთში მეორეჯერ გაიმარჯვა. პირველად, როცა უდანაკარგოდ მოიგო 26 მაისის ტურნირი. მისასალმებელია, რომ კარგ ფორმაშია გურიის ჩემპიონი **გიორგი გოგოლაურიც,** რომელიც მხოლოდ ერთი ქულის დანაკარგით მივიდა ფინიშთან. ნამდვილად ქების ღირსია **თამარ ასათიანი,** რომელმაც აღებული 4 ქულიდან სამი ძლიერ მამაკაცებთან აიღო და ქალთა შორისაც პირველი ადგილი დაიკავა.

საბოლაოდ საპრიზო ხუთი ადგილი ასე განაწილდა: I-**მიხეილ აფხაზავა-6,5; II-გიორგი გოგოლაური-6,0; III- თენგიზ თოიძე-4,5; IV- თამარ ასათიანი-4,0;; V-გივი სიამაშვილი-4,0.**

ტურნირის დახურვაზე თბილად და პატივისცემით კიდევ ერთხელ აღინიშნა თორნიკე ხვედელიძის პიროვნების შესახებ, რომელიც ნიჭიერებასთან ერთად, მუდამ მაღალი ზნეობრივი, ვაჟკაცური და პატრიოტული ნიშანთვისებებით ხასიათდებოდა.



# ალექსანდრე ცხომელიძის ოქრო წყალში ხტომაში



ბულგარეთის ქალაქ ვარნაში მიმდინარეობს საერთაშორისო ტურნირი წყალში ხტომაში „ვარნას თასი 2022“, რომელშიც საქართველოს, უკრაინის, რუმინეთის, საბერძნეთის, თურქეთის, არაბეთის საემიროების, ყაზახეთის, ბულგარეთის და საბერძნეთის წყალში მხტომელთა ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

საქართველოს 14 წლამდე ასაკის წყალში მხტომელთა ნაკრებში წარმოშობით ოზურგეთელი **ალექსანდრე ცხომელიძე** გამოდის.

ალექსანდრე გუშინ წარმატებით გამოვიდა 1 მეტრიანი ტრამპლინიდან წყალში ხტომაში და 293.05 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ალექსანდრე აგვისტოში 13 წლის გახდება, იგი საქართველოს 4-გზის ჩემპიონია წყლაში ხტომაში.

ცნობისთვის: ოზურგეთელებს კარგად ახსოვთ ნიჭიერი მომღერლის ბექა ცხომელიძის სახელი. იგი წლების განმავლობაში უკრაინაში მოღვაწეობდა... ალექსანდრე ბექას უმცროსი შვილია.

# სამგლოვიარო განცხადება

და ელიკო, შვილი მაია, სიძე შალვა, შვილიშვილები ლადო, ლუკა, ზუკა, რძალი ეკა. დისშვილები ნინო, ნატო, თამარი ოჯახებით იუწყებიან

**მანანა თავდუმაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი ორშაბათს, 18 ივლისს, დაკრძალვა სამშაბათს 19 ივლისს. მის: ქ.ოზურგეთი, თაყაიშვილის №44

# სკანვორდი






## პასუხები:

სურათზე: ანტონიო ბანდერასი; ქსოვილი –აბრეშუმი; ამერიკული სპორტი –ბეისბოლი; სახელმწიფო აზიაში –კორეა; შთაგონების წყარო –მუზა; თაღლითური –ყალბი; სატურნის თანაგზავრი –კალიფსო;კომპოზიტორი -შოსტაკოვიჩი; ემიგრაციაში მყოფი ერთი ქვეყნის ხალხი –დიასპორა;ტანსაცმლის მუტაოს ნიმუში – თარგი; მუხის –კასრი; ქალაქი ფლორიდაში –მაიამი; აქა-იქა; თევზის –ფხა; მომხიბლავი –გლამური; თიხის ჭურჭელი –კერამიკა; დორიან –გრეი; სასტუმროების ქსელი –რედისონი; ისტორიული ქართული მხარე –ტაო; ხატთან დადებული სანათი –კანდელი; ძაღლის ჯიში –ბულდოგი; ღვინის ჭურჭელი –ტიკი; წარმართული მზის ღმერთი –რა; ჩოგბურთის –კორტი: ანტიკური დამპყრობი –ატილა; ფრინველი –კოდალა; ფუტკარი –სკა; საოპერო ხმა –ტენორი; რეგიონი საქართველოში –ონი; სპორტული ჟურნალი –მარკა.

# ქართული სოციალ-დემოკრატია რევოლუციის დამარცხების შემდეგ (1906-1907 წწ.)




**ღვთისა გეშინოდენ**
**(1 პეტრე, 2, 17)**

მშვიდობიან, კმაყოფილ და ბედნიერ ცხოვრების ძიება ყოველ კაცის თვისებაა. შექმნა ღმერთმა კაცი, მან მისცა მას გონება და გული, მსურველი ბედნიერებისა ოჯახურ, საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებაში. მოწყალე ღმერთი თვით მსურველია კაცთა ბედნიერებისა და ანიჭებს მათ, რაიცა საჭიროა ბედნიერებისათვის ქვეყანასა ზედა და ცათა შინა, შემდეგ თითოეულ ჩვენგანის სიკვდილისა. მაგრამ თუ კაცი ღვთისაგან შექმნულია და ცხოვრება მის ნებით მიიღო და არა თავით თვისით, ცხადია, რომ კაცი მოვალეა, იცხოვროს ნებისაებრ ღვთისა და არა თვითნებლობით. თვინიერ ნებისა ღვთისა, თვინიერ მცნებათა მისთა აღსრულებისა, კაცი ისეთია, როგორიც თევზი თვინიერ წყლისა და ხე თვინიერ სითბო-სინათლისა. იგი დაიღუპება აუცილებლად და ვერ მიემთხვევა ბედნიერებას.

აი, რისთვის უფალი მის წმიდა სიტყვაში, რომელიც გამოგვიცხადა საღმრთო წერილში, გვეუბნება: **„ღვთის მსახურება ყოვლითავე სარგებელ არს, რამეთუ აღთქმა აქვს ცხოვრებისა აწინდელისა და მერმისა“** (1 ტიმოთეს მიმართ, IV, 8). და ჩვენ ვხედავთ და ვიცით, თუ ვითარ მშვიდად და განსვენებულად არიან კეთილმსახურნი კაცნი. ხოლო რომელმაც იცის წინანდელი ისტორია კაცობრიობისა, მას შეუძლია გვითხრას, რომ დედამიწაზე არ ყოფილან არც კაცნი, არც ერნი და არც სამეფონი, მცხოვრებნი თვინიერ სარწმუნოებისა, ღვთის აღსარებისა, ვიდრე იგინი პატივსცემდენ ღმერთსა, ძლიერნი და ბედნიერნი იყვნენ, გარნა როგორც დაივიწყებდენ ღმერთსა და დაარღვევდენ მცნებათა მისთა, საზარელად ილუპებოდენ. ასეთი ბოლო მიეცათ ფრიად ძლიერთა და დიდთა სამეფოთა და მათ ადგილზე ღმერთი მოუწოდებდა სხვათა ერთა, რომელნიც აღიარებდენ და პატივს-ცემდენ მცნებათა მისთა. ეს ცხადია და მრავალი განმარტება არ უნდა. ღვთის რწმენას მოკლებულნი კაცნი მხეცთა უდარესად იქცევიან, შორდებათ სიყვარული ურთიერთისა, არ ემორჩილებიან არავითარ წესებს, წინააღუდგებიან უფლებათა, თავს ანებებენ შრომას, იტაცებენ სხვის ქონებას, კლავენ ერთმანერთს; ძლიერნი და ბოროტნი პირველად შეურაცხჰყოფენ და აწუხებენ უძლურთა და შემდეგ იწყებენ ერთმანერთის ხოცვას. განა ამ გვარ წყობილებასთან შესაძლებელია ცხოვრება? განა ამ გვარ ცხოვრებაში შესაძლებელია ბედნიერება?

უფალი გარემიიქცევს პირსა თვისსა ესევითარ კაცთა, ხალხთა და სამეფოთაგან და იგინი თავის-თავად დაეცემიან. აი, რისთვის მართლმადიდებელნი ქრისტეანენი, ჩვენნი წინაპარნი იცავდენ წმიდა სარწმუნოებას, დიდად აფასებდენ მას, უყვარდათ ლოცვა, აშენებდენ ეკკლესიებს და მონასტრებს და პატივს-ცემდენ ღვთის მსახურთა. ღმერთმა აკურთხა მრავალ-ტანჯული ჩვენი ერი და იგი არ დაღუპულა, როგორც სხვა ერნი.

მაგრამ აი გამოჩნდენ ახლა ახალი მასწავლებელნი,* რომელნიც აშფოთებენ ჩვენს მორწმუნე ხალხს სიტყვითა და უსახელო წერილებით, აღუთქვამენ ხალხს ბედნიერებას, იზიდავენ გამოუცდელ პირებს და სურთ, აქციონ ისინი მოწინააღმდეგებად ღვთისა, ეკკლესიისა და კანონიერ უფლებისა. ჩვენდა სასირცხვილოდ და საუბედუროდ, აღმოჩნდენ პირნი, რომელთაც ისმინეს ხმა ბოროტ-მასწავლებელთა ამათ და ჩვენ დასაბამითგან მორწმუნე და კეთილ-მსახურ ერთა შორის მოხდა ისეთი შემთხვევები, რომელიც, უკეთესი იყო, ყურს არ გაეგონა. განძარცულ იქმნენ ძველნი მონასტერნი - გელათისა, ნახარებოვისა, თეკლათისა; მოპარულ იქმნა სიწმიდე მართლმადიდებელ გურიისა — ხატი „ლომის კარელი“; გაძარცვეს მრავალი ეკკლესია, მოჰკლეს ზოგან მღვდელნი და ზოგან შეურაცხჰყვეს, სცემეს და დაემუქრენ მხოლოდ მისთვის, რომ ქადაგებენ სიმართლეს და სიტყვითა ღვთისათა ამხილებდენ უგუნურთა. ზოგიერთ ეკკლესიებში ბოროტნი პირნი რევოლვერით ხელში დაეცნენ მღვდელთა წმიდა ლიტურღიის დროს და უბრძანებდენ, შეეწყვიტათ ღვთის-მსახურება. ზოგან პირქვე დაამხვეს ჭურჭელი წმიდა წყლისა და თითქმის ეკკლესიაში წევდენ თამბაქოსა და ბანქოს თამაშობდენ შეურაცხსაყოფელად წმიდა ლოცვისა და ეკკლესიისა. და ასეთნი პირნი აღგვითქვამენ ბედნიერებასა და კმაყოფილებას? რას მიიღებენ და მოგვაგებენ ისინი, გარდა ღვთის რისხვისა? როგორს სიმშვიდეს უნდა მოველოდეთ ესევითარ ბოროტ პირთაგან?

გახსოვდესთ, ძმანო, რომ ჭეშმარიტს სწავლას არ შეუძლია წინააღუდგეს ღმერთსა და წმიდათა მისთა, ეკკლესიასა და მსახურთა მისთა. გახსოვდესთ, რომ წყევის, წარწყმედის და უბედურების მეტს არაფერს მოგვაგებენ ახალი მასწავლებელნი, ჭეშმარიტად მოწინააღმდეგენი ღვთისა და ქრისტესი.

**„ღვთისა გეშინოდენ“,** გვამცნებს სიტყვა ღვთისა. მიიღეთ მხოლოდ ის სწავლა, რომელიც არაა წინააღმდეგი ღვთისა და **სიტყვითა ღვთისათა შეამოწმეთ სიტყვანი კაცთა.** ამისთვის ყოველი სწავლა, წინააღმდეგი ღვთის სიტყვისა და ეკკლესიის სწავლისა, უნდა უარვჰყოთ, არ შევისმინოთ ყოვლისა ძალითა. ლოცვითა, ურთიერთ სიყვარულითა და კავშირითა მწყემსთა თანა ეკკლესიისა დაიცევით თავი ახალ მასწავლებელთაგან, რომელნიც არიან მსახურნი სატანისა და ძენი წარწყმედისა. და როცა დაინახავენ ისინი, რომ იმათ არავინ უსმენს, ხმას გაიკმენდენ და მიწყდებიან მათნი **უგუნურნი** სიტყვანი თავის თავად. **უგუნურად** ვრაცხთ მათ სიტყვებს, რადგანაც არაა მათში სარწმუნოება ღვთისა, ხოლო დასაბამი სიბრძნისა **არს შიში ღვთისა.**

დავიცვათ სიბრძნე ესე სარწმუნოებისა და შიში ღვთისა, ვითარცა იცავდენ წინაპარნი ჩვენნი და დაგვავალეს ჩვენცა, რათა განქარდენ, ვითარცა ბნელი წინაშე ნათლისა, ყოველნი მტერნი ღვთისანი, რომელთაც დაივიწყეს დიადი და წმიდა მცნება: „**ღვთისა გეშინოდენ**“.

**მეფესა პატივ-ჰსცემდეთ**
**(1 პეტრე, II, 17)**

აი ბრძანება საღმრთო წერილისა, რომელიც ამ ჩვენ დროში უმეტესად უნდა გვახსოვდეს. აწ ჩვენ ერში აღსდგენ ცრუ მასწავლებელნი.* ეს ვაჟბატონნი ბრძანდებიან ყოველ ადგილიდან გამოყრილნი უვარგისობის, სიზარმაცის და აჯანყებისათვის. ხშირათ ეს ვაჟბატონნი მოსყიდულნი ბრძანდებიან ჩვენის სამშობლოს მტრებისაგან (ამას იმიტომ ვამბობთ, რომ დარწმუნებულნი ვართ მათ სვინიდისის განყიდვაში. თქვენ თვითონ იფიქრეთ, რით ირჩენენ ეს ცრუ მასწავლებელნი თავს, ვისი ფულებით შოულობენ საჭმელს, სასმელს, თავის შესაფარს და სამოსელს?!). ამ ცრუ მასწავლებლებს თვითონ ჰსურთ, რომ ყველაზე იფლობელონ, ამიტომ ყვირიან ეხლა და სწერენ თავიანთ უსახელო წერილებში და აწერენ თავიანთ წითელ ბაირახებზედ (დროშებზედ), დასცენ მეფური თვითმპყრობელობის უფლება. ეს უგუნურნი გვპირდებიან იმას, რომ ვითომ, როდესაც აღარ იქნება მეფე და მეფის უფლება, მაშინ ყოველივე შეწუხება და ნაკლულევანება ცხოვრებისა მოისპობა და გამოიცვლებაო.

რა უგუნურებაა! ეს იმას ჰგავს, რომ ვისმეს ჰსურდეს სნეული კაცის განკურნა და ამ მიზეზით მოჰკვეთოს მას თავი. მეფეა თავი ერისა და უმისოთ, როგორც მოგვითხრობს ჩვენი სამშობლოს ისტორია, ყოველთვის დაღუპვა მოელის სახელმწიფოს.

სხვაფრივ რომ ვსთქვათ, მორწმუნე ეკკლესიის ძენი ჩვეულნი არიან, სწავლა კაცობრივი ყოველთვის შეამოწმონ საღვთო წერილის სიტყვებითა, ხოლო სიტყვა ღვთისა ცხადათ გვასწავლის, რომ **მაღალი არს უფალი მეფობისა კაცთასა და ვისიცა სთნდეს, მისცემს მას (დანიელი, IV, 14; V, 21), აღიყვანს ტახტსა ზედა მეფეთა** (დან.იელი, II, 21). ძველ აღთქმაში თვით უფლის ბძანებით სცხეს ზეთი კურთხევისა სამეფო ტახტზედ ასვლის დროს საულს, დავითს, სოლომონს და სხვ.

ახალ აღთქმაში თვით უფალი იესო ქრისტე ბძანებს, რომ აღვასრულოთ ჩვენი თანამდეობა მეფის წინაშე ისე, როგორც უნდა ვასრულებდეთ მას ღვთის წინაშე. მიეცით, — იტყვის უფალი — **კეისრისა კეისარს და ღმრთისა - ღმერთსა** (მათე, XXII, 21) და მასვე უქადაგებდა მორწმუნეთა წმიდა მოციქული: **ღმრთისა გეშინოდენ, მეფესა პატივჰსცემდეთ** (1 პეტრე, II, 17).

აბა, ახლა მიაქციეთ ყურადღება, როგორი მეფეები იყვნენ წმიდა მოციქულების დროში? მაშინ მეფენი წარმართნი იყვნენ, რომელნიც სტანჯავიდნენ და ჰსწყვეტდნენ ქრისტეანებს, თვით ურწმუნონი ეძახდნენ ამოსავარდნელებს და დანაშაულობათა გამომგონებლებს, მაგრამ ამისთანა მეფეების დამორჩილებასაც კი ბძანებს უფალი. მაშ, რაღა გვეთქმის მართლმადიდებელ მეფეების შესახებ?

დიდი ცოდოა იმის დავიწყება, როგორ სცდილობდნენ ეს მართლმადიდებელნი მეფენი ჩვენთვის და ჩვენი სამშობლოსთვის. აბა, მოიგონეთ საქართველოს მეფეები, როგორ იცავდნენ მტრისაგან თავიანთ ერს, მთელს თავიანთ ცხოვრებას ომში ატარებდნენ, მტრების განდევნის შემდეგ ჭირში და გაჭირვებაში როგორ ანუგეშებდნენ ერს, ამტკიცებდნენ წესიერ ცხოვრებას, იბრუნებდნენ მტრისაგან წართმეულ აოხრებულ ქონებას და მამულს, აშენებდნენ ტაძრებს, ამაგრებდნენ ციხეებს... გასაკვირველი არ არის განა, როგორ დაიცვეს მათ თავის ერი განადგურებისა და წმიდა სარწმუნოების დაკარგვისაგან. სწორეთ ესე იყო მთელ რუსეთშიაც. იქაც, როგორც საქართველოში, საშინელ ბოროტებაში და უბედურებაში იმყოფებოდა ერი იმ დროს, როდესაც მას არ ჰყავნდა მეფე, ანუ როდესაც ბოროტნი აღსდგნენ მეფის წინაშე. ვინ არ იცის, რომ რუსეთის ერი დაღუპვისაგან გადაარჩინა მეფის არჩევამ რომანოვთა საგვარეულობიდგან, რომელიც მადლითა ღვთისათა მეფობს რუსეთში და საქართველოში. აბა, რამდენი სიკეთე მიუძღვით რუსეთის მეფეთა ერის წინაშე! მათ გაანთავისუფლეს ერი გარეგან მტრებისაგან, გააფართოვეს სამეფო, განაძლიერეს მხედრობა, შემოიტანეს განათლება, ზრუნვიდნენ წმიდა სარწმუნოებისთვის, გაანთავისუფლეს და დაიფარეს საქართველო დაღუპვისაგან, მოსპეს ბატონ-ყმობა როგორც რუსეთში, ეგრეთვე საქართველოში და ამიტომაც რუსეთის ერმა შეთხუზა ეს ბრძნული ლექსი: „დედა-მიწა უმეფოთ ქვრივია, ერი უმეფოთ ობოლია, მეფე ღვთისაგან დაყენებულია“.

ამ ჩვენ დროში, როდესაც ჩვენი მეფე შეწუხებულია, როდესაც მისი გული სევდით არის სავსე თავის ჯარზე ფიქრით, რომელიც ლომივით იბრძვის შორეულ აღმოსავლეთის ძლიერ ომში, როდესაც მას ისეც ბევრი შეწუხება აქვს სხვა და სხვა საქმეების გამო, ამისთანა დროში ზოგიერთმა ბოროტ-მომქმედებმა მოტყუილებით ააჯანყეს ათი ათასობით მუშა ხალხი სატახტო ქალაქში. როგორც გადამდები სენი, აღელვება მოედო დიდ ქალაქებს, ამოჰყო თავი და ფეხი მოიკიდა ჩვენ მხარეშიაც.

მაგრამ დიდ არს ზრუნვა მეფისა ყოველ თავის ქვეშევრდომელზედ და დიდ არს წყალობა ჩვენი ხელმწიფისა. ხელმწიფემ აპატია უბრალო მუშებს, რადგან დარწმუნებული ბრძანდებოდა, რომ ისინი ბოროტ-მოქმედებმა მოატყუეს. ხელმწიფემ მიიღო მუშების წარმომადგენელნი და ესაუბრა მათ. აი, რას სწერენ ამის შესახებ გაზეთები: მ**ისმა უდიდებულესობამ** ოთხშაბათს, 19 ამ იანვარს, გააბედნიერა სატახტო ქალაქის და მის მახლობლად ქარხნებში და ფაბრიკებში მუშათა წარმომადგენელნი, მიიღო ალექსანდროვის სასახლეში ცარსკოე სელოში და უთხრა ქვემო მოყვანილი მოწყალე სიტყვები: „მე მოგიწოდებთ თქვენ, იმიტომ რომ პირათ მოისმინოთ ჩემი სიტყვა და გადასცეთ თქვენს ამხანაგებს. შესაწუხებელი მოვლენანი და იმათი სამწუხარო შედეგი — აჯანყებები — მოხდა იმიტომ, რომ თქვენ შეხვედით შეცდომაში და მოტყუებაში ჩვენი სამშობლოს მტრებისაგან. იგინი, როდესაც გიწოდებდნენ ჩემდა თხოვნის მოსართმევათ თქვენი გაჭირვების შესახებ, ამით თქვენ აჯანყება მოგახდენინეს ჩემ და ჩემი მართებლობის წინააღმდეგ და ძალად დაგანებებინეს თავი პატიოსან მუშაობასა იმ დროს, როდესაც ყოველი ჭეშმარიტი რუსი უნდა საერთოთ სცდილობდეს და დაუღალავად მუშაობდეს ჩვენის გარეგანი მოუსვენარი მტრის დაძლევისათვის. შეთქმულება და ასაჯანყებელი ყრილობანი მარტო აქეზებენ უსაქმო ხალხს იმისთანა უწესოებებზედ, რომელთაც ყოველთვის გამოუწვევიათ და კვალათაც გამოიწვევენ მართლებლობას ჯარის დახმარებაზედ და ამას ძალა-უნებურათ მოსდევს უდანაშაულო მსხვერპლების შეწირვა. ვიცი, რომ ადვილი არ არის მუშის ცხოვრება, ბევრი უნდა გაუმჯობესდეს და გაწესიერდეს, მაგრამ იქონიეთ მოთმინება. თქვენ თვითონ სვინიდისის ქვეშ უნდა გესმოდეთ, რომ სამართლიანად უნდა მოვექცეთ საქმის პატრონებსაც და ყურადღებაში უნდა ვიქონიოთ სარეწავის (აღებ-მიცემობის) პირობებიც. ჩემს მუშა ხალხზედ ზრუნვას ისე დავაყენებ, რომ ყოველივე შესაძლებელი მათ ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად შესრულებული იყოს და სამერმისოდ დაცულნი იყოს მათთვის კანონიერი გზანი მათი (საყოველდღეო) ნამდვილი გაჭირვების გამოსარკვეველად. მე მწამს პატიოსანი მუშა ხალხის გრძნობა და მათი შეურყეველი ერთგულობა ჩემდამო და ამიტომ ვაპატიებ მათ დანაშაულობას. ეხლა დაუბრუნდით მშვიდობიან მუშაობას, ახსენეთ ღმერთი და შეუდექით საქმეს თქვენის ამხანაგებითურთ და იყოს ღმერთი თქვენი შემწე“.

ესეც არ იკმარა ჩვენმა ხელმწიფემ. მრავალი საქმის, ომის გაჭირვების და უზომო ხარჯის მიუხედავად, ჩვენმა ხელმწიფემ გამოსცა ბრძანება, რომ ეხლავე შეუდგნენ ესრეთ წოდებულ სახელმწიფო დაზღვევას მუშების სიცოცხლისას, რომლითაც მუშას სიბერის და ანუ ანაზღეულ დაშავების დროს უნდა მიეცეს მოსვენება და უზრუნველი ლუკმაპური.

ესრეთ, საყვარელნო, ვიყვნეთ მორჩილნი სიტყვისა ღვთისა, ჩვენი წარსულის ანდერძისა და კეთილ-გონიერების ხმისა, გვიყვარდეს და პატივ-ვსცემდეთ ჩვენს ხელმწიფეს, ვილოცვიდეთ მისთვის, დავიცვათ იგი მტრისაგან და ნუ ვუგდებთ ყურს იმ ცრუ მასწავლებლებს,* რომელთაც სურთ ყოველივე საშვალებით და ზომებით აღელვონ ერი ხელმწიფის წინააღმდეგ სხვა და სხვა გამოგონილი ხმებით, ჭორებით და ბოროტებით. დარწმუნდებით, ყოველი იმ უგუნურთაგანნი თვით ეძებს უფლებას ხალხზე, ან მტრის ფულებით ყიდულობს მას.

ნუ უჯერებთ იმათს მრავალნაირ მაცდურ დაპირებას, ცრუ სიტყვებსა, ყოვლად გაფუჭებულ და გახრწნილ საიდუმლო წერილებს, რომელთაც ღვთის სინათლისა ეშინიანთ; ნუ დავივიწყებთ, რომ **თვით სატანა მიიღებს ხოლმე სპეტაკ ანგელოზის სახეს** (II კორინთელთამიმართ, XI, 14) კეთილ კაცთა მოტყუებისა და დაღუპვისათვის.

მეფე საშიშოა და კიდევაც უნდა იყოს საშიშო ბოროტ-მოქმედთათვის, ამისთვის არის იგი ღვთისაგან დაყენებული, **რომელსა აქვს გულის სიწმიდე, იგი არს მეგობარი მეფისა“** (იგავთა, XXIX, 11).

**(გაგრძელება იქნება)**

**ვახტანგ გურული**

(საქართველოს ახალი ისტორია (1801-1918) წიგნი 3; გვ: 456-459

# ნოდარ დუმბაძის მესამე საერთაშორისო ფესტივალი დასრულდა



ცხინვალის თეატრი. მ. ჯავახიშვილი „ჯაყო“ (გოჩა კაპანაძის საავტორო სპექტაკლი)



მესხეთის თეატრი ნ. დუმბაძე „მზიანი ღამე“ (რეჟ. ლია სულუაშვილი)



თეალავის სახელმწიფო თეატრი ი. ჭავჭავაძე „კაცია-ადამიანი?!“ (რეჟ. ლევან წულაძე)



ნ. დუმბაძის მოზარდ მაყურებელთა თეატრი რ. მიშველაძე „არ დამივიწყო“ (რეჟ. დ. ღვთისიაშვილი)



სოხუმის მოზარდ მაყურებელთა თეატრი რ. გაბრიაძე „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ (რეჟ. გოგა ქაჩიბაია)

ფესტივალის მეხუთე დღეს ცხინვალის ივანე მაჩაბელის თეატრმა მიხეილ ჯავახიშვილის დრამა „ჯაყო“ წარმოადგინა, რომლის დადგმელი რეჟისორი გოჩა კაპანაძეა.

ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო სპექტაკლი ამ ფესტივალზე, სადაც ალეგორიულ-მეტაფორულ ფორმატშია დანახული ჩვენი ყოფა (წარსულიც და აწმყოც). რეჟისორს ჯაყო გამოჰყავს ძალადობის გლობალურ სახედ.

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიულმა სახელმწიფო თეატრმა თამთა მელაშვილის „შაშვი შავი მაყვალი“ (ინსცენირების ავტორი და რეჟისორი ნიკა ჩიკვაძე) წარმოადგინა.

„რას იტყვის ხალხი“ ამ დოგმის მსხვერპლი ხდება მთავარი პერსონაჟი, რაც მას აიძულებს იცხოვროს დაწერილი კანონებით და შექმნილი ტაბუების მიხედვით, უარი თქვას ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვან თავის წილ ბედნიერებაზე.

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრმა ნოდარ დუმბაძის ინსენირების მიხედვით დრამა „ჰელადოს“ წარმოადგინა, რომლის დამდგმელი რეჟისორი პეტრე ჩარგეიშვილია. სპექტაკლი მოგვითხრობს ბერძენი და ქართველი ბიჭის განცდებზე, სამშობლოს, მეგობრის სიყვარულზე და მათ ტრაგიკულ ხვედრზე.

მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრმა ჩოხატაურის კულტურის სახლის სცენაზე ნოდარ დუმბაძის „მზიანი ღამე“ წარმოადგინა, რეჟისორი ლია სულუაშვილი.

ბრაგის თეატრალური კომპანიამ /პორტუგალია/, თეატრის ექსპერიმენტულ სცენაზე თომას ბერნანდის „ნიშანზე“ წარმოადგინა, , (რეჟისორი რუი მადეირა).

ავგუსტ სტრინდბერგმა ეს ნაწარმოები 36 წლის ასაკში დაწერა. დაახლოებით 1888 - 1889 წლებში, იმ პერიოდში, როცა ის თავს ექსპერიმენტული თეატრის ნაწილად თვლიდა. პირველად პიესა რეჟისორმა ლუის ვარელამ დადგა. პიესა „უძლიერე-სი“ სტრინდბერგმა მისი ცოლისთვის, მსახიობ სირი ფონსენისთვის დაწერა. „უძლიერესი“ ითვლება ერთ-ერთ ყველაზე ბრწყინვალე მონოლოგად თეატრის ისტორიაში.

ბრაგის თეატრალურმა კომპანიამ ასევე რეჟისორ რუი მედიერას საავტორი სპექტაკლი-პერფორმანსი „უძლერესი“ წარმოადგინა.

ვაჟა-ფშაველას სახელობის თელავის სახელმწიფო პროფესიული თეატრის სპექტაკლი „კაცია-ადამიანი?!“ (ინსცენირების ავტორი - გიზო ჟორდანია) წარმოადგენს გამოჩენილი ქართველი მწერლის, ილია ჭავჭავაძის ერთ-ერთი ყველაზე კონცეპტუალური მოთხრობის სასცენო ინტერპრეტაციას.

დამდგმელი რეჟისორი ლევან წულაძე მაყურებელს სთავაზობს მისთვის კარგად ნაცნობ ნაწარმოებში მეცხრამეტე საუკუნის მიწურულის ქართველი თავდური წყვილის ცხოვრების სრულიად ახლებურ ვერსიას, რომლის მთავარი სათქმელი ეფუძნება ადამიანური ურთიერთ-ობების ამაღლებულ, რომანტიზირებულ საბურველში შეფუთულ სიყვარულს, რომელიც სარეჟისორო კონცეფციის მამოძრავებელი ღერძია. ილია ჭავჭავაძის კრიტიკული რეალიზმი სპექტაკლში ფერმკრთალდება ლევან წულაძის „სხვა“ აქცენტებით, რომელსაც აინტერესებს პერსონაჟთა არა ნაკლოვანებები, არამედ სულიერების ნათელი მხარეები, ამიტომ ყველა გმირი ადამიანური სიკეთის მატარებელია და ხასიათის უარყოფითი თვისებებიც მხოლოდ სისუსტეა და ამდენად, არა გაკიცხვას, არამედ მიტევებას იმსახურებს. „კაცია-ადამიანი?!

მიუხედავად ენობრივი ბარიერისა, საინტერესო სპექტაკლი წარმოადგინა ისტამბულის მალთეფეს მუნიციპალურმა თეატრმა. თოიგან ორბეის დრამა „კაცობრიობა, აქ, არის შენთვის“ (რეჟისორი დერმან ატიკი).

სპექტაკლში საზოგადოების ნამდვილი განდევნილები, მართა და ჩარლი ქალაქის ქუჩებში გადარჩენისთვის იბრძვიან.

თბილისის ნოდარ დუმბაძის მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო პროფესიული თეატრმა რეჟისორმა დიმიტრი ხვთისიაშვილმა„ არ დამივიწყო“ წარმოადგინა. რეჟისორი დიმიტრი ხვთისიაშვილი

„არ დამივიწყო“ რევაზ მიშველაძის ნოველების მიხედვით აგებული ერთ მოქმედებიანი დრამაა. მწერალი, მამა და აფხაზეთის ომში დაღუპული შვილი —ავტობიოგრაფიული ნოველაა; 80 წელს მიტანებული რაჭველი ბაბუას ამბავი დაცარიელებული მთის პრობლემას ეხება; მეორე მსოფლიო ომში დაკარგული საყვარელი

ქმრის მაძებარი ქალი და უჩვეულო სატელეფონო „რომანი“ - სპექტაკლში ერთმანეთზეა გადაჯაჭვული მამა-შვილობა, მოლოდინი და ერთგულება, ამქვეყნიური ცხოვრება და გარდაცვალება, სიყვარული და მომავლისიმედი...

ფესტივალის მე-10 დღეს სოხუმის მოზარდ მაყურებელთა პროფესიულმა თეატრმა „თეთრი ტალღა“ რევაზ გაბრიაძის „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტი“ უჩვენა მაყურებელს (გოგა ქაჩიბაიას დადგმა).

თბილისში, თავად ფანტიაშვილს, პარიზიდან მოულოდნელად მოსდის 2 წერილი. ერთი იუწყება მისი ბიძის, მარშალ დე ფანტიეს გარდაცვალებას, ხოლო მეორე წერილი ანდერძია — თავადს მემკვიდრეობით ერგო მსოფლიოში უდიდესი ბრილიანტი „მონტე როზა.“სწორედ აქედან იწყება ქართველების ფათერაკებით სავსე მოგზაურობა პარიზში. ვის დარჩება საბოლოოდ ბრილიანტი? ქართველებს თუ ფრანგებს? ტავადი ფანტიაშვილი კი პარიზში უკეთეს განძს —სიყვარულს პოულობს.

ამ დღეს ჩოხატაურის კულტურის ცენტრში ჩოხატაურის სახალხო თეატრმა ნოდარ დუმბაძის „ხაზარულა“ წარმოადგინა. მუსიკალური პერფონანსის დადგმა გიორგი ხვიჩიას ეკუთვნის.



ზუგდიდის თეატრი თამთა მელაშვილი „შაშვი, შაშვი მაყვალი“ (ნიკა ჩიკვაიძის საავტორო სპექტაკლი)



ბათუმის თეატრი. ნოდარ დუმბაძე „ჰელადოს“ (რეჟ. პეტრე ჩარგეიშვილი)



ბრაგის თეატრალური კომპანია. თომას ბერნარდი „ნიშანზე“ (რეჟ. რუი მადეირა)



მალთეფეს თეატრი, თოიგან ორბეი „კაცობრიობა აქ არის შენთვის“ (რეჟ. დერმან ატიკი)



ჩოხატაურის სახალხო თეატრი ნ. დუმბაძე „ხაზარულა“, (რეჟ. გოჩა ხვიჩია)

## 7 დღის ამინდის პროგნოზი

| 18 ივლისი ორშაბათი | 19 ივლისი სამშაბათი | 20 ივლისი ოთხშაბათი | 21 ივლისი ხუთშაბათი | 22 ივლისი პარასკევი | 23 ივლისი შაბათი | 24 ივლისი კვირა |
|---|---|---|---|---|---|---|
| წვიმა | წვიმა | წვიმა | წვიმა | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი | მზე, ღრუბელი |
| +18 +24 | +17 +23 | +16 +23 | +15 +23 | +13 +24 | +14 +24 | +16 +24 |